

## ინსტიტუტის დირექტორის არჩევის წესი

1. ინსტიტუტის სამეცნიერო-საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალიდან ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო 4 წლის ვადით და ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
2. ერთი და იმავე პირის მიერ დირექტორის თანამდებობის დაკავება შესაძლებელია ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3. ინსტიტუტის დირექტორს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ღია კონკურსის წესით თანამდებობაზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო.
4. დირექტორის არჩევნების მიზნით სამეცნიერო საბჭო განსაზღვრავს კონკურსის პირობებს, არჩევნების ჩატარების თარიღს და ადგენს დირექტორის საკონკურსო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ:
  - ა. ინსტიტუტში მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;
  - ბ. აკადემიური ხარისხი;
  - გ. მართვისა და მენეჯმენტის გამოცდილება;
  - დ. სრულად ფლობდეს ინფორმაციას ინსტიტუტის ძირითადი თემატიკის შესახებ;
  - ე. წარმოადგინოს სამოქმედო პროგრამა.
5. დირექტორის კონკურსისა და არჩევნების ორგანიზების მიზნით სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე ქმნის სამდივნოს და ადგენს კანდიდატების რეგისტრაციის ვადებს.
6. სამეცნიერო საბჭოს მიერ შექმნილი სამდივნო განიხილავს კანდიდატთა განცხადებებს და წარმოდგენილ საბუთებს. კონკურსის სამდივნო შედგება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრების, ინსტიტუტის სხვა მეცნიერების ან/და დამხმარე პერსონალისაგან, რომლებიც სამდივნოს ფუნქციების განხორციელებისას ექვემდებარებიან სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს. კონკურსის სამდივნო უზრუნველყოფს კონკურსის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.
7. სამდივნო დირექტორების კანდიდატურებს წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს, რომელიც კანდიდატის მიერ წარმოდგენილი პროგრამის საფუძველზე ირჩევს დირექტორს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8. დირექტორობის კანდიდატებისათვის ხმის მიცემა ხდება ფარული კენჭისყრით. გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც მოიპოვებს ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტისა.
9. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნებში მონაწილეობას იღებდა ერთი ან ერთზე მეტი კანდიდატი და ვერც ერთმა ვერ მიიღო საკმარისი ხმები, სამეცნიერო საბჭოს მიერ ინიშნება ახალი კონკურსი, რომელიც უნდა ჩატარდეს სამეცნიერო საბჭოს მიერ დადგენილ ვადაში.